ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №210221

ნომერი: AR157333

თარიღი : 08.06.2012

გაცემის თარიღი : 12.06.2012

გაცნობის თარიღი : 12.06.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხეთაგუროვი , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ვანიშვილი პ/ნ 01008043925
- თბილისი კ.კეკელიძის ქ. N 25 ბ. 187

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ხეთაგუროვის ქ. N6–ში მდებარე შენობაზე, კონდიციონერების განთავსებას.

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ხეთაგუროვის ქ. N6–ში არსებული შენობა მდებარეობს სახელმწიფო დაცვისა და ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში და სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოების განხორციელება წარმოდგენილი ფოტომონტაჟის შესაბამისად. რეკომენდირებულია კონდიციონერის არსებული ღიობების ქვედა არეში მოწყობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება სამსახურის რეკომენდაციის გათვალისწინებით კორექტირებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.